ოთხშაბათი, 1918 წ. მაისის 15 № 84
წლიწადი მეორე

აკლია: ოთხშაბათი, 1918 წ. მაისის 15 № 84
ფასი 20 კაპ.

NN 85-162
26
85-87; 89-112; 114; 116-136; 153; 154; 161;
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილზე [illegible] უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ [illegible] რულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ყუთი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

გულ მოკლული მშობლები ატატო გრიგოლის ასული და იობ სიმონის ძე შავგულიძეები, დები სიდონია კეკუასი, ოლღა აბზიანიძისა, ლუბა ნებიერიძისა, ნინა და მარიამ შავგულიძეები, რძლები სოფიო მიხეილის ასული, ანეტა პავლეს ასული, და სოფიო ვასილის ასული შავგულიძეები, ძმები ნესტორ, ვლადიმერ, იოსებ, გერასიმე, დავით, შალვა და გიორგი შავგულიძეები, სიძენი ვლადიმერ მოსეს ძე კეკუა, ზოსიმე ექვთიმეს ძე აბზიანიძე და ვასილ პეტრეს ძე ნებიერიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ანარიის სიმაგრეზე ბათომში გმირულად დაღუპულ კაპიტან

**სიმონ შავგულიძის**

ცხედრის დაკრძალვა მოხდება მთავარ ანგელოზის ეკლესიის გალავანში, ხუთშაბათს, 16 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ორპირის ქუჩაზე საკუთარ სახლში. 1—1

---

[illegible] ასული ერისთვისა, ბესარიონ და ალექსანდრე სიმონის ძენი საყვარელიძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ თვრამეტ მაისს, დღით შაბათს, სოფელ გორის (ქუთაისის მაზრა) ეკლესიაზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ გარდაცვალებულის: პირველის საყვარელის მეუღლის, მეორესი და მესამესი ძვირფასი სიძის, თავადი

**გიორგი ალექსანდრეს ძის ერისთვის**

სულის მოსახსენებლად. 2—1

---

დამწუხრებულნი მშობლები: პლატონ მელიტონის ძე და თეოდოსია პროკოპის ასული, და თამარი და ძმა ვარლამი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, მაისის 16 (ახ. სტ.) საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მე-6 კლასის მოწაფის

**დავით (დათიკო) წერეთლის**

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 1—1

---

გიორგი ვახტანგის ძე მიქელაძე, მართა ვახტანგის ასული ჩიქოვანისა და ალექსანდრე გიორგის ძე მიქელაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, პირველნი ძვირფასი დედის და უკანასკნელი საყვარელი ბებიის

**ნინო გიორგი მიქელაძის ასულის**

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა დანიშნულია 16 მაისს (ახ. სტ.) ს. კულაში. ჯვარცმის ეკლესიაზე. 1—1

---

## რატომ გავკოტრდით?

ამიერ კავკასიის მთავრობამ რომ ჩვენი ქვეყანა გაკოტრების პირამდის მიიყვანა, ვისთვის-ღაა საეჭვო?! ირაკლი წერეთელმა თავის უკანასკნელ ლექციაში ლენინი დაძრახა, საგარეო ვალზე უცხო სახელმწიფოებს უარი უთხრა და მით რუსეთი საერთაშორისო უფლების გარეთ დააყენაო. მაგრამ რითა სჯობია ჩვენი მენშევიკების ფული ლენინის ფულს?

პირიქით, ჩვენი მთავრობის საფინანსო პოლიტიკა ლენინის საფინანსო პოლიტიკაზე ათასჯერ უარესია. ლენინს საკუთარი, რუსული ფული მაინც აქვს და უცხო სახელმწიფოს ფულს ხელოვნურად მაინც არ ანიჭებს უპირატესობას.

ჩვენი მთავრობა კი ჩვენს დამოუკიდებელ სახელმწიფოში სხვა სახელმწიფოს (რუსეთის) ფულს ატრიალებს: რუსულ ფულს ღებულობს სახელმწიფო გადასახადებსა და ვალებში, რუსულ ფულს იძლევა ჯამაგირებისა და სხვა ხარჯების დასაფარავად, რუსული ფულით კერძო ვალების გადახდა—დაკანონებულია და სხ. ამას მოჰყვა შედეგად—ამიერ კავკასიის ბაზრის რუსული ფულით ავსება.

იმავე დროს ჩვენს ფულს რუსეთის მთავრობა და მოქალაქე ფულად არა სცნობენ და მაშასადამე ჩვენი ფული რუსეთში არ შედის.

ამაშ რუსეთიდან რუსული ფული თავისუფლად შემოდის და ავსებს ჩვენს ბაზარს, ჩვენი ფული კი რუსეთში არ შედის. ცხადია, რომ, ერთი მხრით, ქაღალდის ფულის რაოდენობა ჩვენს ბაზარზე უზომოდ იზრდება და, მეორე მხრით, უპირატესობა რუსულ ფულს ეძლევა.

მეორე: რუსული ფული—კოტორი სახელმწიფოს ფულია—ისეთი სახელმწი- [illegible] საგარეო ვალების გადახდაზე უარი [illegible].

ამან გამოიწვია ამ ფულის კურსის ასეთი საშინელი დაცემა. მეორე მხრით, ჩვენმა მთავრობამ ჩვენი ქაღალდის ფულის კურსი რუსული ფულის კურსს გაუთანასწორა და მაშასადამე მისი კურსიც ხელოვნურად დასცა ძირს: გაგონილა, მთავრობა რომ ამშენებელი თავის ასაშენებელ შენობას თავისივე ხელით საფუძველს უნგრევდეს?! და დამისახელონ, როდის, სად და რომელი სახელმწიფო უთანასწორებდა თავისი ფულის კურსს სხვა სახელმწიფოს ფულისას მეტადრე კოტორი სახელმწიფოისას?!

მესამე. ჩვენი მთავრობა ხალხს ფულს არ ახდევინებს. ამის შედეგი კი ის არის, რომ, ერთი მხრით, ქაღალდის ფული მიწის მუშების ქოხებში უსარგებლოდ ჰყრია და ლპება და, მეორე მხრით, მთავრობა მიუცილებელი მიმდინარე ხარჯების დასაფარავად ახალ ახალ ბონებს სჭრის.

ერთი სიტყვით, ბაზარი ქაღალდის ფულით აივსო და ფული ფუჩეჩადაც აღარა ღირს!

და მკითხველი უთუოდ დაიჯერებს, რომ იმაზე უარესი ფინანსიური პოლიტიკა, ვიდრე ის, ჩვენი მთავრობა რომ აწარმოებს, არც შეიძლება და არც გაგონილა!

ასეთი მთავრობა განაგებს ჩვენს პოლიტიკურს, სამოქალაქოსა და ეკონომიურ ცხოვრებას!

ვაი ჩვენი ბრალი ასეთი მთავრობის ხელში!

ვასილ წერეთელი.

---

## სოციალისტური მთავრობის განსაცდელი.

ქვეყნის გასოციალისტება რომ უცებ არ იქნებოდა, არც სოციალიზმის განხორციელება ხმის უმეტესობით მოხერხდებოდა ეს ზოგმა კარგათ იცოდა, მაგრამ ზოგიერთს მაინც არ ეჯერა და სულით და გულით ცდილობდა სახელმწიფო სოციალისტური მთავრობისათვის ხელში ჩაეგდო.

ეს მართლაც ასე მოხდა. მთელი რუსეთი სოციალისტური მთავრობის ხელში ჩავარდა, ამიერ-კავკასიაც რასაკვირველია. რა დაემართებოდა ამ სახელმწიფოს გამოცდილებით ვერ მოგახსენებდით, რადგან მთელ დედამიწაზე აქამდი არ ყოფილა ასეთი სახელმწიფო და არც დღეს არის რუსეთის მეტი, ამიტომ გამოცდილებას ახლა თუ შევიძენთ ამ საქმეში, თორემ ისტორიული წარსული ვერ გვიშველის, ასეა თუ ისე დღეს სინამდვილის წინაშე ვდგევართ და ვხედავთ, რომ სახელმწიფო სოციალისტების ხელშია.

რა იქნება—არ ვიცით, მაგრამ რაც არის—ამას კი ვხედავთ.

რა მოხდა ცხოვრებაში მით, რომ სოციალისტური მთავრ[illegible]

მოხდა ის, რომ სოციალისტები განსაცდელში ჩავარდენ, რადგან თეორია და პრაკტიკა ერთმანეთს არ შეეთანხმა. სოციალისტები ძლიერ ყოჩაღები გამოდგენ არსებული წესწყობილების დანგრევაში, მათი მოღვაწეობა ოპოზიციაში გამარჯვებით დაგვირგვინდა: მოწინაალმდეგე მოსპეს და გაანადგურეს, მაგრამ როცა პოზიციაში ჩადგენ, როცა მართვა გამგეობის საჭე ხელში აიღეს და თავისი თეორეტიული მოძღვრებით ცხოვრების სინამდვილეს მიუახლოვდენ, საქმე მეტათ გაურთულდათ და ეჭვი არ არის იგრძნეს, რომ **დანგრევა უფრო ადვილი ყოფილა ვინემ აშენება**.

რაში მდგომარეობს მათი—უმთავრესი გასაჭირი? იმაში, რომ სიტყვა საქმით არ სრულდება, იმედი ცხოვრებაში არ მართლდება. მთავრობა კანონს არდგენს—ხალხი იმას არ ასრულებს, ხალხი მოთხოვნილებას აღგენს—მოვალეობას არ ასრულებს. რა უნდა ქნას აქ მთავრობამ? მთავრობა ყოველგვარ ზომას ხმარობს, მაგრამ **ძალას ვერ მიმართავს**, და სხვა ზომები არ გამოდგა—აი აქ არის განსაცდელიც.

გადავიდეთ მაგალითებზე.

სოციალისტური მთავრობისათვის მეტათ ძნელია **ომის წარმოება.** ომი უჯაროთ არ შეიძლება და ჯარში უდისციპლინობა შეუწყნარებელია. როგორ დაიცვას ჯარში დისციპლინა სოციალისტურმა მთავრობამ თუ ორში ერთი არ აირჩია: ან სიმკაცრეს უნდა დაადგეს და ამით თვისი მიმართულება დაარღვიოს, ან თვისი მიმართულება დაიცვას და უდისციპლინობას შეუთანხმდეს. პირველ შემთხვევაში **ნდობა ეკარგება და სახელი უტყდება—მეორეში ომს აგებს და მტერს ხელში უვარდება**—აი აქ არის განსაცდელი და ამ განსაცდელიდან გამოსავალი გზა შეუძლებელი შეიქნა. ამ გზის ძებნაში გაჩდა ანარხია, რომელმაც ყველაფერი წაგვაწარა.

ავიღოთ გადასახადი.

ყოვლად შეუძლებელია სახელმწიფომ ისე იარსებოს, თუ გადასახადი არ იქნა. პირ იქით სახელმწიფოს წარმატება გადასახადს კი არ სპობს უფრო აკანონებს და აუცილებელს ხდის. გადასახადი ორი გზით შეიძლება აიღოს მთავრობამ: ან სიტყვიერი მოთხოვით, ან ძალით. სიტყვიერი მოთხოვა მუშაობს იქ, სადაც შეგნებაა; სადაც შეგნება სუსტია, იქ ძალა აუცილებელი ხდება. როგორ მოიქცეს სოციალისტური მთავრობა აქ—ჩვენში?

საუბედუროთ ჩვენი ხალხი სოციალისტების პირით გადასახადის გაუქმებს შეეჩვია და არა აღებას. დღევანდელი მთავრობა სიტყვით კი თხოვილობს გადასახადს, მაგრამ ხალხი არ ასრულებს. ამის გამო ხაზინა დაცარიელდა. როგორ მოიქცეს მთავრობა? ან უნდა იხმაროს ძალა, ან ფული გააჩინოს. აქამდი მთავრობამ მეორე გზა არჩია და ფულის გამრავლებას შეუდგა, მაგრამ ამასაც საზღვარი აქვს. მთავრობამ რომ სულ ფული ბეჭდოს და ყოველი სახელმწიფოებრივი მოთხოვნილება მითი აკმაყოფილოს, ფულმა რომ სულ კერძო ხელში იტრიალოს და ისევ მთავრობას რომელიმე სახით ანუ შესავლის წყაროთი არ მიუბრუნდეს, მაშინ ფული ნამეტანათ გამრავლდება და თანაც ფასი დაეკარგება, რასაც ცხოვრების დაშლა მოყვება შედეგათ. ფული უნდა ტრიალობდეს ყველას ხელში, ერთიდან მეორესთან გადადიოდეს; მთავრობა ხალხს უნდა აძლევდეს, ხალხი მთავრობას უნდა უბრუნებდეს ან **გადასახადის** სახით, ან **სესხათ** ან **შესანახად**. თუ ასე არ იქნა—ისე ეკონომიური არსებობა არ შეიძლება და ფული, როგორც საჭირო საგნების მაგიერი (ეკვივალენტი) მნიშვნელობას კარგავს. საუბედუროთ დღეს ხალხი არც გადასახადში იხდის ფულს, არც შესანახად მოაქვს, არც სესხად იძლევა, ესე იგი ბილეთებს აღარ ყიდულობს. ყველას ხელში უკავია ფული და მხოლოდ სანოვაგეში სცვლის, ერთი სიტყვით მთა- [illegible] ოდ კი მოსალოდნელია სახელმწიფოში ფინანსიური კატასტროფა.

რათი უნდა ვუშველოთ საქმეს? უეჭველათ უნდა დავიბრუნოთ ფული ხალხისაგან ხაზინაში ჯერ გადასახადის სახით და შემდეგ კი თავის თავათ მოყვება სხვა სახეც, ეს ასე უნდა იქნეს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ სოციალისტური მთავრობა ძალის ხმარებას ვერ ბედავს, რადგან ეს მისი ადათი არ არის და სიტყვით და რჩევით ვერაფერი მოაგვარა. ხალხს კი არ ესმის, რომ **ფულის ხაზინაში მობრუნება იმისივე სარგებლობაა.**

გადასახადი, აქციზი, პატენტი, ბანდეროლი, ბაჟი და ამისთანეები სოციალისტის პირით ბოროტებათ აქვს ხალხს გაგონილი და დღეს სოციალისტური მთავრობა მის ხსენებას ვეღარც ბედავს—ერთი მხრით ხალხის ეშინია, მეორე მხრით თავისი სახელის გატეხის და არ იცის რა ქნას.

**აი ასეთ განსაცდელშია მთავრობა.** ძნელია სოციალისტური მთავრობისათვის ცხოვრების სინამდვილეში თავისი მოძღვრებით მოქმედება!

რა გზა ვუჩვენოთ მთავრობას?ან **სოციალისტობა გადადვას, ან ხალხის შეგნებას მოუცადოს.** თუ პირველი აირჩია —**განსაცდელიდან გამოვა**, თუ მეორე აირჩია—**თვითონაც დამარცხდება და ცხოვრებაც დაგვენგრევა.** რაც ჯარში დაგვემართა—ის ფინანსებშიც შეგვემთხვევა. სხვა მაგალითები შემდეგ.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## საერთაშორისო მდგომარეობა.

ევროპის და აზიის შორის მიმდინარე უდიდესმა ომმა „მუდმივი" ურთიერთობ დაამყარა. შორეული და ახლო აღმოსავლეთები მეომარ ევროპის სახელმწიფოთ მხარში ამოუდგენ. საერთაშორისო ვითარებაში მთავარ ყურადღებას ისევ ომი იპყრობს. ომი მალე მეხუთე წელში გადავა. ოთხი წლის ომმა საყურადღებო ცვლილება შეიტანა საერთაშორისო ცხოვრებაში. ომის ოფიციალური ლოზუნგებიც გაცვდა და მისი ნამდვილი მიზეზები. მეტოქეობის ობიექტი გამომჟღავნდა. პოპულიარული შეიქმნა ის აზრი, რომ დღევანდელი უმაგალითო სისხლის ღვრა ინგლის გერმანეთის ომი ყოფილა. გერმანეთი და ინგლისი წა[illegible] ნან ბრძოლის ველად და განაგრძობენ სასტიკ „შეჯახებას". მრავალ რიცხოვან ინგლისურ კავშირს ბევრი წევრი გამოაკლდა. სამხედრო ძალის ანგარიშში რომ არ ჩავაგდოთ, ბელგეთ --რუმინეთ სერბეთ, მთაშავეთი ინგლისურ კავშირის მწყობრიდან მკვდარი გამოეწერა პირველ ხარისხოვანი და ცოცხალი ძალით უმდიდესი იმპერია რუსეთისა. ინგლისი განმარტოვებული და დამარტოხელებული დრჩება. საფრანგეთი საბედისწერო ხანას გადის, იქ ომი წმინდა ეროვნული თავდაცვითი სახით სწარმოებს, პაციფისტი სოციალისტები ჯარში გაწვევას ემხრობიან, მაგრამ რას იზამთ როცა ფრანგული დეპარტამენტები კვდებიან, ხალხის რიცხვი არა ჩვეულებრივად ცირდება. საფრანგეთი მოიღალა, საფრანგეთს ცოცხალი ძალა ესპობა და თუ ის სიკვდილის გადარჩენა გარეშე ძალამ (ინგლისმა) არ იკისრა მოსალოდნელია ფრანგთა რესპუბლიკა რუსეთსავით გამოეწეროს მეომართა ფერხულიდან.

ინგლისთან რჩებიან იტალეთი და ამერიკა. იტალეთი იმ თავიდანვე თავდაცვითი ომს აწარმოებს, მას მოკავშირეთათვის ძალთა დაბანდების მეტი არაფერი შეუძლებია, იტალეთი ოსტატურად იქცევა, სამხედრო ძალას უფრთხილდება... ამერიკა, განთქმული დაწინაურებული ქვეყანაა, მაგრამ ომის ასპარეზზე ნაკლებად სახელოვანი. ამერიკის ლაშქარი ხმელეთზე არაფერს უდრის. ამერიკას ხმელეთზე ომის წარმოება არ შეუძლია, მისი სამოკავშირო როლი განისაზღვრება იმით, რომ ფულსასესხებს, იარაღით დაახმარება და ზღვაში ფლოტს მიაშველებს. რა ხერხითაც და საშვალებითაც არ უნდა სწარმოებდეს მსოფლიო ომი ჩვენ იძულებული ვიქნებით უპირატესობა ისევ ცოცხალ ძალას ვაკუთვნოთ. ინგლისმა თუ ცოცხალ ძალის მხრით წაიკოჭლა, მაშინ გამოჩნდება დასაწყისი მისი მსოფლიო ვარსკვლავის ცის კამარიდან ჩამოვარდნისა. ინგლისი ვეებერთელა იმპერიაა, კოლონიებიდან მოიყვანს ჯარს, მაგრამ აქაც მას წარმოუდგა საოცარი საფრთხე. გერმანეთის გავლენა მაჰმადიანურ ქვეყნებში საათობით იზრდება. ოსმალეთში დამკვიდრებული გერმანეთი თავისუფლად შევიდა სპარსეთში, სპარსეთი რომელიც ასეთ თუ ისე ბუფერი იყო რუსეთ ინგლისის შორის, რუსეთის დამხობის შემდგომ ინგლის რუსთაგან გაიწმინდა და დღეს უთუოდ გერმანეთ ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცევა. სპარსეთი გასაღებია ინდოეთისა და ვილჰელმს თუ აქვს გულში მხაში ინგლისისადმი გადასანთხევი უეჭველად მოკლე ხანში დაეუფლება შაჰების ქვეყანას პოპულიარულია მოსაზრება, რომელიც გვეუბნება სპარსეთს ევრის კავკასია, რომელიც ამ ჟამად [illegible] დამოკიდებულია და გერმანეთ-ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს. კავკასია და კერძოდ საქართველოს ინგლისთან საომრად გერმანეთი დიდათ გამოიყენებს [illegible] ნაიდან [illegible] შავ ზღვამდე, მთვთს და ბოლოს სტრატეგიულ გზას. [illegible] აზრის გამართლება, თუ უარყოფა ახლო მომავალში გამოაშკარავდება.

უნდა ველოდეთ გერმანეთ ინგლისის გადამწყვეტ შებრძოლებას და ამ საბოლოო შეტაკებაში იაპონიის, როლს, იმ იაპონიისას, რომელიც ჭკუიანად, მარაგად არის შორეულ აღმოსავლეთში და თუ სახელმწიფურმა ინტერესმა უბრძანა ადვილად შეებმება გერმანეთსაც. დანარჩენი შემდგომ.

**ახალი.**

## ამიერ-კავკასიის ცხოვრებიდან

— ზაქათალის ოლქში მიწის რეფორმის განხორციელებას უკმაყოფილოდ შეხვდნენ. რეფორმის ცხოვრებაში გამტარებელთ ადგილობრივი მკვიდრნი მტრულად უცქერიან.

— ს. აგდამში (შუშის მაზრა) მშვიდობიან მცხოვრებლებს ავაზაკებთან შეტაკება მოუხდათ. მოკლულები ორივე მხრით ბევრია, ომი გრძელდება. თხოულობენ მიშველებას.

— ქუთაისის გუბერნიაში სიწყნარეა. არავითარ გამოსვლებს და ანარქიას ადგილი არ აქვს. მცხოვრებთ უმთავრესად უპურსათობა აწუხებს.

— ოსმალთა ჯარი ქ. ყარსს მიუახლოვდა. ქალაქიდან დაშორებული არიან სულ 5 ვერსის მანძილზე. ოსმალეთის ჯარის უფროსთან მოლაპარაკება ჰქონდა გუმბრის ქალაქის ეროვნებათა დელეგაციას.

— ზაქათალის ოლქში ანარქია ძლიერდება. მუსულმანები ქრისტიანებს ავიწროებენ, [illegible] ბიან და აწიოკებენ სომხობას. მუსულმანები მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ყველგან გამოკიდებულია ოსმალეთის დროშები. რამდენიმე ქართველების სოფლებს თავს დაესხენ და საქონელი წაასხეს.

## სოციალისტური ილუზიები.

(დასასრული იხ. „ჩვ. ქვეყ." № 83).

რაც შეეხება სახლების შენების საქმეს, აქ მაშინები მხოლოთ ზოგიერთ იშვიათ შემთხვევაში თუ შეიძლება იქნეს გამოყენებული, ეხლაც ისე აშენებენ სახლებს, როგორც ადამის დროს: როგორც წინეთ ეხლაც ქვებსა ან აგურებს ცემენტის საშვალებით ამაგრებენ.

სწორეთ ზემოთ აღნიშნულ გარემოებით აიხსნება დასავლეთ ევროპაში დაუცხრომელი მითქმა-მოთქმა და წუხილი მიწის სიმცირე—სივიწროვით გამოწვეული.

ადამიანთა რიცხვს ყოველწლივ მილიონი ახალი სული ემატება და დედამიწას, სამეურნეო ტეხნიკის ერთობ ნელი გაუმჯობესების გამო, არ შეუძლია საკმაო ნაყოფის გამოღება საზოგადოების მთელი საჭიროების სრული დაკმაყოფილებისათვის.

ამიტომაა, რომ ამ ბოლო დროს ყველგან, წარმოების მხრივ დიდათ დაწინაურებულ ქვეყნებშიაც კი ცდილობენ ამ საფრთხეს მიაპყრონ ქვეყნის ყურადღება და დიდის სიფრთხილით და მზრუნველობით ეპყრობიან მიწის ყოველ ნაჭერს.

ზემო ნათქვამიდან ნათლათ სჩანს, რომ თურმე არც ისე ჩინებულათ ყოფილა საქმე მოწყობილი, როგორც ეს ზოგიერთ ოპტიმისტურათ მოაზროვნე სოციოლოგ-ეკონომისტს ჰგონია.

მიუხედავათ იმისა, რომ კაცობრიობის მთელი შემოქმედებითი ძალა და გამოცდილება მიმართულია საზოგადოებისათვის აუცილებელ საარსებო მასალის (სმა-ჭამის, სამყოფი ბინის და სხვა) მოსაპოებლათ შესაძლო საშვალებათა გამონახვისაკენ, მაინც არ იქნა ამ მხრივ მან ვერ განახორციელა სასურველი რეზულტატი, ვერ მოახერხა ადამიანთა უაღრესი და უპირველეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, სრული უზრუნველყოფა.

ამის მიზეზი საზოგადოებრივი წესწყობილება კი არ არის და არსებულ წარმოების წესს კი არ უნდა ვსდებდეთ ბრალს, არამედ მიზეზი ჩვენი საერთო უღონობა გახლავსთ, ჩვენი ჯერ კიდევ ქონდრის კაცობა და უძლურება. მივსწვდეთ იმ ხერხს და საშვალებას, რომლის წყალობით შესაძლებელი იქნება კაცობრიობის უმრავლესობისათვისაც უზრუნველ-ყოფილი არსებობა; თორემ მარტოოდენ წესწყობილების შეცვლით რომ შესაძლებელი იყოს ხალხის ხსნა გაჭირვებისაგან, მისი ნივთიერი კეთილდღეობის სრული უზრუნველყოფა, საქმე აქამდე გაჩარხული იქნებოდა.

გარეგანი ცვლილების მოხდენით, არსებულ სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობის დარღვევით, მარტო კანის გამოცვლით, ცხოვრების შინაარსი, მისი არსებითი მხარე და მიმართულება არ გამოიცვლება.

საჭიროა გამუდმებული და შეუწყვეტელი შემოქმედებითი მუშაობა საზოგადოების ყველა წევრის მიერ სხვადასხვა დარგში, რომ ამნაირი შეთანხმებული მუშაობით, საერთო ძალღონითა და თანამშრომლობით შევქნათ ღირებულებანი ყველას საბედნიეროთ.

რაც შეეხება კრიზისებს, ე. ი. რომელიმე წარმოების დარგში ზედმეტი საქონლის მზადებას, გაცილებით უფრო მეტის, ვიდრე ეს საჭიროა განსაზღვრულ დროს, განსაზღვრული ბაზრისათვის და ამ ეკონომიური მოვლენის განსაზოგადოება და იმის თქმა, რომ აი რამდენი ქონება მოეპოება საზოგადოებას, ტყვილა-უბრალოთ, მოუხმარებლათ დარჩენილი, მოდით მაშვრალნო ყოველ კუთხიდან, იგი ყველას გაგსწვდებათ, ყველას მოთხოვნილებას დააკმაყოფილებსო, მიუტევებელი შეცდომაა, პოლიტიკური ეკონომიის ანბანის არცოდნით გამოწვეული.

არც ის არის სწორი, როგორც ზოგიერთ ეკონომისტს და მათ შორის, როგორც ზევით მოგახსენეთ, ენგელსაც ეგონა, ამ მოვლენის (კრიზისის) ხვედრია სოციალური ტრანსფორმაციის მოხდენა. რაც დრო გადის კრიზისები სულ სხვადასხვა სახეს ღებულობს და საზოგადოებაც პოულობს საშვალებას დაიჭიროს თავდარიგი და აიცდინოს ეკონომიური კრიზისების მიერ გამოწვეული უხერხულობანი. წარმოების მოწესრიგებით თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების საფუძვლის შეუცვლელათ კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული წესწყობილება, წინაღმდეგ ზოგიერთ ეკონომისტთა შეხედულებისა, მეტათ ელასტიური, მოქნილი, განსაცვიფრებელი შეთვისების უნარის მქონე წეს-წყობილება გამოდგა.

ტყვილათ შეეცადენ ეკონომისტები გამოეკვლიათ კაპიტალიზმის მომავალი სვებედი და თავგადასავალი, მისი ზრდა-ვითარების ტენდენციები და აუცილებელი შედეგები.

არც დიდებული ეკონომისტის, კარლ მარქსის მიერ აღმოჩენილი გარდუვალი და ულმობელი კანონები კაპიტალისტური ცხოვრების რევოლუციის შესახებ გამართლდა.

მარქსის სიკვდილის შემდეგ იმდენი მოულოდნელი და საგულისხმო ახალი ეკონომიური მოვლენათა მოწამენი გავხდით, რომ თვით მისი ერთგულნი მოწაფენი იძულებული გახდენ შეეტანათ არსებითი კორექტივი თვის მასწავლებლის სოციალ-ეკონომიურ მოძღვრების ზოგიერთ პუნქტში.

პირველათ ყოვლისა ახლა აღარავინ ლაპარაკობს კაპიტალისტურ განვითარების გადაუვალ, ობიექტიურ კანონების შესახებ, რომლის ძალითაც მისი აუცილებელი დამხობა უნდა მოხდეს. მათი აზრით, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენ თვითშეგნებას და მომზადებას გამოიჩენს ამ რეჟიმის მოსპობით დაინტერესებული მუშათა კლასი, რომელიც მარტო საკუთარ ძალ-ღონეზედაყრდნობილი ვერას გააწყობს, თუ საზოგადოების დანარჩენმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა მას მის ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნილებაში. აქაც კლასთა ბრძოლის პრინციპი ვერ არის წმინდათ დაცული და ნათლათ არის აღსარებული კლასთა თანამშრომლობის საჭიროება თვით მშრომელი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ჩვენის აზრით, ვისაც სურს საზოგადოების გალატაკებული ნაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთავრობის გარშემო.

შრომის მინისტრის კანონ პროექტი, იმის შესახებ, რომ ჯარში გაწვეულ მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახებს დახმარება ექნეს აღმოჩენილი გასარჩევად გადაეცა სეიმის მუშათა კომისიას.

— დღეს 15 მაისს მოხდება მთავრობის სხდომა რომელზედაც სპეციალურად განხილულ იქნება უწყებათაშორისო თათბირის მოხსენება სარკინიგზო ტარიფის გადიდების შესახებ.

— ინჟინერ-ტეხნოლოგი ასად-ბეგი რუსტამბეკოვი დაინიშნა ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის თანაშემწეთ-ნაცვლად მეხტი-ბეგ გაჯინსკისა.

— შრომის მინისტრმა განმარტა, რომ ფიზიკურად მომუშავეთათვის დაწესებული იქნება 200 სამუშაო საათი თვეში და გონებრივათ მომუშავეთათვის კი 150 საათი. თვეში უნდა იმუშაონ 25 დღე.

## ველიკორუსეთი და უკრაინა.

რუსეთის რესპუბლიკის უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ტროცკიმ, წევრებმა პოდოისკიმ და მეხონშა და მხედრობის ხელმძღვანელმა, ვოიჩ ბრუევიჩმა, ცარიცინის, ტიხორეცკის, როსტოვის, ნოვოჩერკასკის, სტავროპოლის, ეკატერინოდარის, ყუბანის ვორონეჟის, კურსკის, გლაგოლევის, ბრიანსკის, სიტინის, პეტროგრადის, მოსკოვის დ სხ. საბჭოთა დეპუტატებს და მხედრობის უფროსებს შემდეგი აცნობა:

რუსეთის რესპუბლიკის მთავრობა თანახმად ბრესტის ხელშეკრულებისა უკრაინასთან უკვე შეუდგა საზავო მოლაპარაკების წარმოების დაწყებას. ვორონეჟის, კურსკის და ბრიანსკის ფრონტებზე სამხედრო მოქმედება უკვე შეჩერებულია. უნდა გვწამდეს, რომ ჩვენი სამშვიდობო დელეგაცია ამ დღეებში შეხვდება გერმანეთ-უკრაინის დელეგაციას და ზავზე ხელს მოაწერენ. ყველა ფრონტებზე დაყენებულია ყარაულები, რომელთაც დავალებული აქვთ რუსეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალები არ გადმოუშვან, მაგრამ მოპირდაპირის რაზმებმა მაინც გადმოლახეს უკრაინის სამზღვრები და შეიჭრენ დონის მხარეში

უმაღლესი სამხედრო საბჭო აცნობებს დონის, ყუბანის და სხვა ოლქების სამხედრო მთავრობას და დაწესებულებებს, რომ უკრაინის სამზღვრებიდან გამოსული შეიარაღებული რაზმები უნდა ჩაითვალოს ბრბოებათ და მოთხოვნისთანავე იარაღი თუ არ დაჰყარეს, უნდა მიიღოთ ყოველგვარი შეუბრალებელი ზომა მათ წინაღმდეგ. მათთან ბრძოლისათვის კი საჭიროა: 1) გამოცხადებულ იქმნას დონისა და ყუბანის მხარეებში სამხედრო წესები. 2) საშიშ ადგილებში გაძლიერებულ იქმნას ყარაულები. 3) მტკიცეთ დაცული იქნას დისციპლინა სამხედრო რაზმებში. 4) ყოველივე მოქმედება და ბრბოების გადმოსვლის ამბები თავის დროზე უნდა ეცნობოს უმაღლეს სამხედრო საბჭოს.

## პარტიული კრება

ოთხშაბათს, 15 მაისს, **ნაშვადღევის 5 საათზე** მოხდება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის **სამთო უბნის** წევრთა საერთო კრება, პარტიულ ბიუროში (ძველი თბილისის ქუჩა ილ. წინამძღვარიშვილის სახლი) მოხსენებას წაიკითხავენ **ტრ. ჯაფარიძე და ალ. თორაძე.**

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

**თამარ მეფის დღესასწაული.** წელს ახალი სტილის შემოღების გამო 1 მაისს თამარის დღესასწაულის მოწყობა უხერხული შეიქმნა; ამის შესახებ მსჯელობა იქონია საეპარქიო საბჭომ და დაადგინა ამ მოკლე ხანში დანიშნოს ერთი დღე თამარის უქმად და მოაწყოს ეს დღესასწაული, რაც გაზეთების საშვალებით წინ და წინ ეცნობება საზოგადოებას.

✦ **თამარ მეფის დღეობის** გამო გუშინ საკათედრო ტაძარში მწირველი იყო ყოვლად სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი.

✦ **საყანე ადგილების იჯარით გაცემა.** ხუთშაბათს 16 მაისს, დილის 10 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია სალორიის აგარაკში მდებარე ქალაქის სახნავ-სათესი ადგილების წილის ყრით გაცემა. ის პირები, რომელთაც 4 მარტს არ შეხვდათ ადგილები ქალაქის გამგეობაში უნდა გამოცხადდენ და წილის ყრაში მონაწილეობა მიიღონ.

✦ **რევოლუციონური ტრიბუნალი.** სამტრედიიდან იტყობინებიან, რომ იქ თანახმად თბილისის მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს წესდებისა დაუარსებიათ სამხედრო რევოლუციონური ტრიბუნალი.

✦ **ს. გუბი.** ს. გუბიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ ხსენებული სოფლიდან ხონში გლეხებს თოფები თავისი ხელით მიაქვთ და მთავრობას აბარებს.

✦ **ბანძა მარტვილის ბოლშევიკების შესახებ.** როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ ის ბოლშევიკური ბრბო რომელიც ბანძა ნაოლაღევ მარტვილს მიდამოებს ავიწროვებდა თანდათან იშლება და იარაღს ყრიან, ისინი სხვათა შორის შუამდგომლობენ, რომ იარაღს სავსებით დაყრიან თუ არ დასჯიან.

✦ **სროლა,** სროლა ქუთაისში კვლავ გახშირდა. 13 მაისს ღამით დიდი სროლა ყო.

✦ სამტრედიის ქალაქის თვითმართველობა ატყობინებს გუბერნიის სასურსათო კომიტეტს, რომ ახალ მოსავლამდის სამტრედიას სჭირდება 100000 ფუთი სიმინდი.

✦ **ვ. აბაშიძის საიუბილეო წარმოდგენა.** ხვალ 16 მაისს ქალაქის თეატრში ვ. აბაშიძის 40 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „ხანუმა“ ა. ცაგარლის 3 მოქ. კომედია „არც აქეთ, არც იქეთ“ კომ. 1 მოქ. თარგ. ვ. გუნიასი.

✦ **უკრაინელთა კრება** დღეს, 15 მაისს ქუთაისში მოხდება უკრაინელთა კრება, რომელზედაც გარჩეულ იქნება სხვადასხვა კითხვები, როგორც ლტოლვილების დახმარების აღმოჩენის შესახებ ისე უკრაინაში გამგზავრების შესახებ, სურსათის მოგვარების საკითხი და სხვა.

✦ **ახალი ჟურნალი.** ამ მოკლე დროში გამოვა სამეცნიერო და სალიტერატურო ორ კვირეული ჟურნალი „განახლება“.

✦ **თეოფილე ხუსკივაძემ** გურიის დამხმარე ქუთაისურ კომიტეტს უკვე გადასცა 2000 მანეთი ქუთათელი მიტროპოლიტის მიერ სასულიერო პირთა შორის შეკრებილი.

✦ **სტუდ. გ. გორგაძე** გვთხოვს გამოვაცხადოთ „კიევიდან დაბრუნებულ სტუდენტებს უმორჩილესად ვსთხოვთ შეგვატყობინონ თუ რამე იციან კიევის კომერციულ სასწავლებლის სტუდენტის გრიგოლ გორგაძის შესახებ, რომელიც აგერ 4 5 თვეა მშობლებს არაფერსა სწერს. ყოველგვარი ცნობა მოგვაწოდონ შემდეგი მისამართით. ქუთაისი ბალახვანის ქუჩა სახ. № 25 მიხეილ გორგაძეს.

✦ რედაქციამ მიიღო თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემული წიგნი ნ. ს. ჯორჯიკიასი. „სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაცია„ (ავტონომია და ფედერაცია) წიგნი სუფთად არის გამოცემული შეიცავს 106 გვერდს და ღირს 4 მანეთად.

✦ მზადდება რუსულ ენაზე დასადგმელად ცნობილი ქართული პიესა ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებიდან ირეთელის მიერ გადმოკეთებული „ქრისტინა“ დრ. 4 მოქ. ეს პიესა რუსულად სთარგმნა ივ. მოსიძემ.

✦ **მამისონის უღელტეხილი.** რაჭიდან იტყობინებიან, რომ მამისონის უღელტეხილის გაწმენდა სასწრაფოთ ხდება.

✦ **დაპატიმრებულთა რიცხვი.** ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის განკარგულებით მდგომარე წლის 1 იანვრიდან სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის დაუპატიმრებიათ 230 კაცი და 2 ქალი. აქედან 17 მთავრობის დაუმორჩილებისათვის. 25 არა კეთილსაიმედობისათვის, 11 პროვაკაციისათვის, 12 ქრთამისათვის, 11 პოგრომში მონაწილეობის მიღებისათვის, 38 ქურდობისათვის 2 მკვლელობისათვის.

✦ **დაპატიმრება.** 13 მაისს დააპატიმრეს სახალხო მილიციელი ირაკლი ჩახულიანი, რომელსაც მილებული თოფი და პატრონები თავის სოფელში მიჰქონდა და თვითონაც მიიპარებოდა. პატიმარი საგუბერნიო ციხეში მოათავსეს. საქმე სარევოლუციო ტრიბუნალს გადაეცა.

### პროვინცია.

**სოფ. საირმე** (ლეჩხ. მაზრა) ანტონ ჩიქოვანი გვთხოვს, გამოვაცხადოთ, რომ სოფ. საირმეში (ლეჩ. მაზ.) მას უკანონოდ წაართვეს 300 ვედრა „ალექსანდროული“ ღვინო და არავითარ საფასურს არ აძლევენ. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისიდან საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ოფიციალურად აცნობა, რომ ჩიქოვანისთვის ღვინო არ წაერთმიათ, მაგრამ ამას ყური არ ათხოვეს და ანტონ ჩიქოვანს ღვინო წაართვეს.

### ქ. ხონი.

ქ. ხონში ქუთაისიდან გაგზავნილი მფრინავი რაზმი ენერგიულად მუშაობს და იარაღს სისწრაფით ჰკრებს. ამის შესახებ გუშინ გუბერნიის კომისარმა ხონიდან მიიღო ასეთი შინაარსის დეპეშა:—

ქ. ხონი. ქუთაისში. გუბერნიის კომისარს.

იარაღის ჩამორთმევის საქმე სასურველად მიმდინარეობს. დღემდის შევკრიბეთ 300-ზე მეტი თოფი, ერთი ტყვიის მფრქვეველი და აუარებელი ყუმბარები. რაზმმა მოულოდნელი გმირობა გამოიჩინა.

მფრინავი რაზმის უფროსი.

შტაბ-კაპიტანი ლლონტი.

**სავალდებულო დადგენილება.**

მოქალაქენო! ხონში მდგომი რევოლუციონური ჯარის შტაბი დღეიდან, 12 მაისიდან, შემდეგ განკარგულებამდე აცხადებს საალყო წესებს ხონში და მის რაიონში. ყველა ვალდებულია უსიტყვოთ დაემორჩილოს შემდეგ დადგენილებას.—

1. ვისაც აქვს იარაღი, დაუყონებლივ უნდა ჩააბაროს შტაბს, ვინც თავისი ნებით არ მოიტანს—მის წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნება მიღებული. 2. სათინადო [illegible] აკრძალულია მიტინგები და კრებები. 3. აკრძალულია ღვინით და მაგარი სასმელებით ვაჭრობა. 4. [illegible] ლა. [illegible] 8 საათის შემდეგ აკრძალულია ქალაქში სიარული. ვინც ამ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს, სასტიკათ იქნება დასჯილი.

სამხედრო შტაბი.

## მდგომარეობა ბათომში.

ბათომის აღების დროს, 1 აპრილს ქალაქის მცხოვრებლები მიეგებენ ოსმალეთის ღენერალ კიაზიმ ფაშას ისე როგორც 1878 წ. 25 აგვისტოს შეხვდენ რუსის ღენერალ კომაროვს. შეხვედრის დროს ფაშამ მიჰმართა მცხოვრებთ, რომ მუქთახორები და სპეკულიანტები დაისჯებიან სასტიკად და დამყარდება წესიერება და მყუდროება. თვით კიაზიმ ფაშა დაინიშნა ბათომის კომენდატად. სამი დღის შემდეგ ბათუმში მოვიდა ვალიც (გუბერნატორი)

ვალის ბრძანების დანახმად რუსული მანეთიანი ბათომში ღირს 10 შაურად. მუშის ფასად დღიურად დაწესდა 7 აბაზი. დღეში მუშამ უნდა იმუშაოს არა ნაკლები 10 საათისა.

პირველი საჭიროების სურსათ-სანოვაგის ფასებმა საგრძნობლად დაიკლო.

ბათომში ყოველგვარი წესიერების დამრღვევნი სასტიკად ისჯებიან.

## წერა კითხვის საზოგადოებაში.

კვირას თბილისში უნდა შემდგარიყო ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიური კრება, განსახილველი იყო 1916 წლის ანგარიში. ომიანობისა და რევოლუციის მსვლელობის გამო ეს კრება მეტად დაგვიანდა.

როგორც გამგეობის ანგარიშებიდან სჩანს საზოგადოებას 1916 წლის დამლევს ჰქონია 38 ფილიალური განყოფილება.

საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია მთელი წლის განმავლობაში 57,803 მან. და 67 კაპ. დახარჯული კი 52,607 მან. და 52 კაპ. აქედან საადმინისტრაციო სექციის ხელში გადასულა 32,103 მან. და 33 კაპ. სასკოლო სექციის ხელში 13767 მან. საბიბლიოტეკო სექციის—3390 მან., საგამომცემლო სექციის—3000 მან. სამუზეუმო სექციის—2500 მან. წიგნების გაყიდვისაგან წმიდა შემოსავალი ყოფილა 10,425 იან. და 56 კაპ.

1917 წ. 1 იანვრისათვის საზოგადოების აქტივი უდრიდა 517,325 მან. 60 კაპ. პასივი კი 506,179 მან. და 69 კაპ.

საზოგადოებას სხვადასხვა ადგილებში აქვს უძრავი ქონება, რომელიც უდრის $1\frac{1}{2}$ მილიონ მანეთს. საზოგადოებას დაუარსებია სულ 21 სახალხო სკოლა 92 სამკითხველო.

წერაკითხვის საზოგადოებამ ქართველ ერს დიდი ღვაწლი დასდო.

## მიწის რეფორმა და სოფელი.

(წერ. ოკრიბიდან.)

იმ ცნობამ, რომ სადგილ-მამულო კომიტეტები ჩამბარებელი კომისიების საშუალებით მიწების ჩამორთმევას შეუდგენ მაზრაშიო, ჩვენამდისაც მოაღწია. ეს მოვლენა ხალხს აღელვებს და ამხედრებს.

ოკრიბაში მემამულე არავინ არ არის. მაგრამ ყოველ სოფელში თითქმის თითოეულ გლეხს აქვს იმდენი მიწა და იმაზე მეტიც, რაც ახალი რეფორმატორების ნორმას შეადგენს. ეს მიწები მათ ნაყიდი აქვთ თავიანთი შრომით, საკუთარი ფულით, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს რომ აქაური მიწა არ მიწობს. ყველასათვის აშკარა და გარკვეული უნდა იყვეს, რომ ოკრიბელი მიწა მოსავალს არ იძლევა, ნიადაგი გამოფიტულია და

ალ. თორაძე.

ოჯახს იმ შემთხვევაში მოუვა წლის სარჩო თუ 20 დან 30 ქცევამდე მიწას დაამუშავებს.

ეს კიდევ არაფერია რომ ადგილობრივი მიწა დიდი ხნობით ყანობდეს და 20 წლობითა და 30 წლობით დასვენება არ სჭირდებოდეს. ერთი სიტყვით მიწის მუშას ერთი ნაჭერი მიწა მოსავალს აძლევს მხოლოდ 4—5 წლის განმავლობაში, 5 წლის შემდეგ კი ამ მიწას 30 წლით დასვენება ეჭირვება. წინაამდეგ შემთხვევაში აქაური მიწების დამუშავება წყლის ნაყვა იქნებოდა, რადგანაც იგი არავითარ მოსავალს არ მისცემდა მიწის მუშას. აქედან აშკარაა რომ 5 წლის შემდეგ ოკრიბელმა მიწის მუშამ უნდა დაიმუშაოს მეორე ნაჭერი მიწისა, თუ უნდა მას მშიერი არ დარჩეს და მოწმე არ გახდეს თავისი ოჯახის შიმშილით ამოწყვეტისა.

მთავრობამ უნდა უწყიდეს, რომ ოკრიბის 20 ქცევა მიწა ჰირნახულის მოსავლის მხრით ძლივს ძლივობით თუ უდრის აჯამეთის 1 ქცევა მიწას. აქედან ყველასათვის ნათელია ის თუ რა ღირებულობის ყოფილა ოკრიბის მიწები.

მთავრობა როგორც გავიგეთ თურმე აქაც გზავნის თავის კომისიებს მიწების ჩასაბარებლათ. გზავნის, მაგრამ ის კი არ გაუთვალისწინებია როგორია ჩვენი მიწები, შესაძლებელია აქ ჩვეულებრივი ნორმა გატარდეს ცხოვრებაში თუ არა.

ჩვენ წინაამდეგი ვართ დღეს იმ სახით მიწის კითხვის, რა სახითაც ეს მიზნად დაუსახავს სოციალისტურ მთავრობას, მაგრამ ვსთქვათ დღეს მის წინაამდეგ გალაშქრება მთავრობისადმი ურჩობა იქნებოდა, რასაც ჩვენ ვგმობთ. ამ თვალთა-ხედვითაც აუცილებელია მმართველობას გათვალისწინებული და შესწავლილიც ჰქონდეს თუ რომელ კუთხეში როგორია მიწის სარგებლობის ხასიათი და როგორი კანონი შეეგუება.

როგორც გავიგეთ მთავრობისათვის „ცნობილი“ ყოფილა რომ ქუთაისის გუბერნიის მიწები 1 კატეგორიას ეკუთვნის ე. ი. ყველგან ერთისახის მიწებია და ყველა ეს მიწები საუკეთესო მოსავალს იძლევა.

ეს სრული გაუგებრობაა, საქმის ასეთი არევ დარევა და გამოურკვევლობა არც ნიკოლოზის მთავრობას მოდიოდა და რუსეთიდან მოსული „ჩინოვნიკებიც“ კი არჩევდენ კარგს ცუდისაგან და ცუდს, კიდევ კარგისაგან.

ეს ასე არის, მაგრამ ეხლანდელ მთავრობას, როგორც სჩანს არ სურს გაარჩიოს თეთრი შავისაგან და შავი კიდევ თეთრისაგან, თორემ რას ჰგავს ამგვარი მოქმედება. იმათ საადგილ-მამულო კომიტეტების გაბატონება და მათ ხელში მამულების გადასვლა აქვთ მიზნად დასახული. არ დაგვიდევენ არც ამა თუ იმ კუთხის რეალ საჭიროების აუცილებლობას და არც მშრომელი მიწის მუშების ინტერესებს.

უბრალო სამართლიანობა მოითხოვს იქონიონ სულ ცოტა დაკვირვება და ისე გადასჭრან საკითხი, რასაც ცხოვრებაში არსებითი ხასიათი აქვს, თორემ ოკრიბაში, რომ ის ნორმა გაატარონ, რასაც ქვემო იმერეთში აქვს ადგილი ამით განსაცდელში ჩააგდებენ მთელი ოკრიბის ისედაც გალატაკებულ ხალხს, მიწის მუშებს. ცუდია, როცა კაცი და მით უმეტეს მთავრობა სინამდვილეს ანგარიშს არ უწევს.

**ნ.**

## ლტოლვილები.

გზათა მიმოსვლის მინისტრს ფოთიდან საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა კომისარი აბდუშელიშვილი ატყობინებს:

შავი ზღვის ყველა ნავთსადგურები არა რუს ლტოლვილებს არ ღებულობენ. 2 კვირის წინად ფოთიდან მე გავგზავნე სამი ტრანსპორტი ლტოლვილებისა სხვადასხვა ადგილებში, მაგრამ მათი მიღება დღემდის არ მოხდა. მათ გადმოსხდომას შეიარაღებული ძალებით წინ უდგებიან.

ამის შემდეგ მიზან შეუწონლობა იქნებოდა, რომ ლტოლვილები გაგვეგზავნა, რადგანაც იმათ იმის ნებასაც არ აძლევენ, რომ ნაპირზე სურსათის საყიდლადაც გადმოსხდენ. დღეს დღეობით ფოთში იმყოფება 4,000 არა რუსი ლტოლვილი და 2,000 რუსი. რადგანაც აქ არ არის სასურსათო პუნქტი, პური და არც შენობები, რომ იმათმა თავი შეაფარონ, მათ უხდებათ ცისქვეშ ღამეების გათევა. ლტოლვილთა შორის შავმა ჭირმაც იჩინა თავი. მთელი სანავთსადგურო ტერიტორია ლტოლვილებით არის ავსებული. მდგომარეობა კატასტროფულია.

ამისთვის საჭიროა მიიღოთ მხედველობაში ყველა ეს და ფოთში არა რუს ლტოლვილებს ნუ გამოგზავნით.

## გეგეჭკორი ახალ-სენაკში.

10 მაისს სენაკის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა და გლეხთა საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობას, რომელიც სენაკის თეატრის დარბაზში მოხდა, სხვათა შორის დაესწრო გეგეჭკორიც თავისი ამალით. მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ სიტყვა წარმოსთქვა ყრილობაზე.

მის მიერ მომენტისა და ტაკტიკის დახასიათებას აქ არ შევეხებით. ეს შეუძლია იცოდეს ყველამ ვისაც კი „ერთობის“ მეთაურები წაუკითხავს. ამ მხრივ მათი პრესისა და ლიდერების აზრი ერთგვარია—სიტყვა სიტყვით ერთნაირი.

მაგრამ საგულისხმოა გეგეჭკორისა სიტყვა მიმართული ოპონენტ ფედერალისტისადმი. გეგეჭკორმა გაარჩია ორგვარი „ბოლშევიზმი“, სოციალური და ეროვნული. რუსეთის რევოლუციის დამარცხება მან ამ ორგვარ ბოლშევიზმს დააბრალა. ვიდრე სოციალური თუ ეროვნული ბოლშევიზმი იჩენდა თავს მანამდი რევოლუციის მთლიანი ფრონტი არ დარღვეულა, ხოლო იმ დღიდან რაც ეს ორი ბოლშევიზმი შეუდგა თავის საქმეს რევოლუციაც დამარცხებისაკენ დაექანა. ეროვნულ ბოლშევიზმის შესახებ გეგეჭკორმა სხვათა შორის სთქვა, მათ მიაღწიეს თითქო მიზანს და რუსეთის მთლიანი ფრონტი დაშალეს, მაგრამ საკუთარი ქვეყნის დაცვა მათ პირველად იუარეს და პირველებმა დაჰყარეს იარაღი. საილუსტრაციოდ გეგეჭკორმა საზოგადოებას გაზეთ „საქართველოს“ მეთაურებზე მიუთითა. განსაცვიფრებელია მაგვარი მოვლენა. მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს არის პარტიულ უმწიკვლელობის დამცველი—არ თაკილობს ისეთ შეუფერებელ დემაგოგობას, რომლითაც მან სენაკის კრებაზე ივარჯიშა. არ უნდა დავიწყებოდა ყოფილ მინისტრს, რომ ეროვნული თუ სოციალური ბოლშევიზმის ინტენსივობა და ძალა სრულიად სხვა და სხვა იყო. იმ დროს როდესაც გზა სოციალური ბოლშევიზმისა ძალიან ბევრისათვის იყო მიუღებელი, როცა სოციალური ბოლშევიკები განმარტოებულნი დარჩენ იმიტომ, რომ მათ გზა ცხოვრებისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა, ეროვნულ „ბოლშევიკების“ გზა იმდენად სწორი და ნამდვილი იყო, რომ მიუხედავად დიდი ბრძოლისა თვით მოწინააღმდეგენი და კერძოდ ს. დემოკრატებიც იძულებული გახდენ ამ გზით ევლოთ. ნაციონალისტების დიაგნოზი მეტად მართალი აღმოჩნდა, მათ უფრო სწორად გაიგეს ისტორიის ლოღიკა. ხოლო ს. დემოკრატები იძულებულნი გახდენ ხსნა ისევ ნაციონალისტების პლანებში ეძიად. ამის მერე ნაციონალისტების გზის გმობა ცოტა არ იყოს ვერ მატებს დიდ გამჭრიახ პარტიის სახელს ჩვენებურ სოც. დემოკრატიას. რაც შეეხება კერძოდ ეროვნულ დემოკრატებს განა იარაღის დაყრაა ხალხის ფიზიკურად ზრუნვა? თუ ს. დემ. და მათ ბელად გეგეჭკორს ჰგონიათ, რომ ეროვნ. დემოკრატებს შეუძლიათ ავანტიურისტულ სასწორზე დადვან ქართველი ერის თავი. მაგრამ გეგეჭკორს რატომ არ გაახსენდა გ. ქიქოძის სიტყვა, რომელიც მან საპასუხოდ მიიღო ეროვნულ-საბჭოში?

„საქართველო“ თვალს უხელდა მთავრობას, ხოლო ნაციონალისტების წრიდან გამოსული ახალგაზრდები ამ დროს თავგამოდებით იბრძოდენ აჯიქაბულის მაღლობებსა და სხვაგან. რად არ გაუწია ანგარიში გეგეჭკორმა იმ მოვლენას, თუ ვინ დაჰყარა იარაღი?

ნაციონალისტ ახალგაზრდებმა შესძლეს არ შეებღალათ ქართველი მეომრის სახელი. ამის შემდეგ გეგეჭკორს ეროვნ. დემოკრატების საწინააღმდეგოდ ენა არ უნდა დაეძრა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან მდგომარეობას ნამდვილი ანგარიში არ გაუწია და შესაფერი სახელი ვერ მოუნახა ეროვნულ დემოკრატების მოღვაწეობას.

**მ. ეგრისელი.**

## წყლის საქმე ამიერ-კავკასიაში.

ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის განკარგულების თანახმად, ამიერ კავკასიის ყველა წყალთა ძალების საქმე გადაეცა კანცელარიაში ვაჭრობა მრეწველობის განყოფილებას. ყველა წყალთა ძალების საქმეთა და მისი ჯეროვნად მოხმარების გამგედ დანიშნული არის ინჟენერი ბრაილოვსკი, რომელმაც პროექტი უკვე შეიმუშავა. „დროებითი დებულებანი წყალთა ყველა ძალების გამოყენების შესახებ ამიერ კავკასიაში“. რადგანაც დიდძალი შუამდგომლობა შემოდის იმის შესახებ, რომ, კონცესიას ნება დართონ სხვადასხვა მდინარეებზე აკეთებულ იქმნეს გიდროელექტრონული სადგურები, ამისთვის წყალთა სამმართველომ ზომები მიიღო, რომ ინჟენერ ბრაილოვსკის დებულებანი დროზე იქნეს განხორციელებული საკანონდებულო წესით.

## უკანასკნელი ცნობები.

— შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ტაფტმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ომი კიდევ ორი-სამი წლით გაგრძელდება. მისი სიტყვით ამერიკაში უნდა შესდგეს 5 მილიონიანი არმია.

— რუსეთში, ბოლშევიკების მოქმედების სიყალბეს ხალხი უკვე მიხვდა. სხვა დასხვა ადგილებში გამოაქვთ რეზოლუციები მთავრობის საწინააღმდეგოთ. განსაკუთრებით ამხედრებულნი არიან მუშები.

— საფრანგეთში დიდ სასოწარკვეთილებას განიცდან იმის გამო, რომ მცხოვრებთა გამრავლების საკითხი ცუდათ მიდის. უკანასკნელი ცნობებით საფრანგეთში 1 იბადება, ორი კი კვდება.

— სპარსეთში დიდი სიმშილობაა. ხალხი სწყდება.

— გერმანეთისა და უკრაინის ჯარები რუსეთისაკენ მიიწევენ.

## რუსეთი.

— **იტალიის სამხედრო მ სია.** მოსკოვს მოვიდა იტალეთის სამხედრო მისია, რომელსაც სათავეში უდგას ღენერალი რომეი. რომეის თან ახლავს გენერალური შტაბის 7 ოფიცერი. როგორც პრესის წარმომადგენლებთან კამათში გამოირკვა მისიის მიზანი არის თვალყური ადევნოს რუსეთის სამხედრო ოპერაციებს, შექმნან ორგანიზაცია არმიისა, რომ რუსეთის და იტალიის მხედრობის კავშირი შეწყვეტილი არ იქმნეს. ღენერალ რომეიმ სხვათა შორის სთქვა, რომ, რუსეთს ახალი არმიის შესაქმნელათ დაეხმარება ყველა მოკავშირეებიო.

— **ველიკოროსთა ევაკუაცია უკრაინიდან.** კიევში შესდგა ველიკოროსთა კომიტეტი, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული გაიყვანონ უკრაინიდან ველიკოროსები. უკრაინის კომიტეტებს ჰი აზრათ აქვთ, რომ როგორც უკრაინიდან ველიკოროსებს გაიყვანენ, პეტროგრადიდან გამოიწვიონ ყველა უკრაინელები.

— **ბაგაევსკის მოკვლა.** დონის მხედრობის ატამანის თანაშემწე ბაგაევსკი ნოვოჩერკასკის ბოლშევიკების მიერ დაპყრობის შემდეგ დააპატიმრეს და როსტოვში [illegible] იგი მოჰკლეს.

## [illegible]

**ს. დიდი-ჯიხაიში.** აღდგომის უქმეებზე განუწყვეტელი სროლა იყო. როგორც ეტყობოდათ ჯარის კაცებს ტყვია წამალი ფრონტიდან ძალიან ბევრი წამოეღოთ, რითაც დროება ატარეს. სოფლის მცხოვრები კი შიშმა მოიცვა და გარეთ ვერ გამოდიოდა. მარტო მოქეიფენი „ფარფაშობდენ“. როგორც იყო, მოიღო მადლი მთავრობამ და სამტრედიიდან გამოგზავნეს რაზმი უწესოების ჩასაქრობად. სროლა მალე შესწყდა, მაგრამ დროებით ახლა თოფის სროლის ჟინი თვით მცველებს წესიერების დარაჯთ მოუვიდათ და როგორც ცოტა შეზარხოშდებიან სროლას ასტეხენ... ამბობენ, ჩხრეკის დროს (იარაღს რომ დაეძებდენ) ბევრს ავეჯი დაეკარგაო. ასე ამ რიგად სხვისი მწყესავი თვითონ საწყესავნი შეიქნენ, განკარგულებამ რა ჰქმნას თუ სისრულეში მომყვანი არავინ აღმოჩნდა, თუ ყველანი აირდაირევიან.

**დ. კ.**

**ახალ-სენაკი.** ამას წინად ადგილობრივი მცხოვრები კოწია მელიქია ჯარიდან დაბრუნდა და შევიდა მისი მამის ჯვებე მელიქიას სახლში, როგორც, მემკვიდრე რომელსაც მემკვიდრეობა სასამართლოს წესით ჰქონდა დამტკიცებული; მას აუმხედრდა მისი დედინაცვალი დესპინე მელიქიასი. მეორე დღესვე დესპინე გაეშურა სენაკის კომისარ მაღნარაძესთან და სთხოვა თავხედი გერი სახლიდან გაეძევებინა და იგი აელაგმა. კომისარმაც უსმინა დესპინეს და სენაკიდან ჭალადიდში მილიციონერები აფრინა. მილიციონერებმა კოწია მელიქია გაათრიეს თავის სახლიდან და მყისვე კომისარ მაღნარაძესთან წარადგინეს, მაღნარაძემ კოწია მელიქია ერთი თვით ციხეში ჩასვა. კოწია ცოლშვილიანი ავადმყოფი კაცი ეხლაც ციხეშია და თავის „ცოდვებს“ ინანიებს. კომისარი კოწია მელიქიას მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებას აბრალებს თუმცა მთავრობის შესახებ მას კრინტიც არ დაუძრავს. ასე უდანაშაულო კაცი ახლაც სატუსაღოში იმყოფება, საჭიროა მთავრობამ ამ საზიზღარ ამბავს ყურადღება მიაქციოს.

**მოამბე.**

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**

## განცხადება

მოწყალების დების კურსების მომწყობი კომისია ამით აცხადებს რომ გამოცდები დაიწყება ორშაბათს 20 მაისს ახალი სტილით, გიმნაზიის დარბაზში.

მსმენელებს ვთხოვთ დროზე წარმოადგინონ საავადმყოფოების მოწმობები პრაქტიკის შესახებ. მოწმობები უნდა გადასცენ ექიმ ბ. ნ. ლორთქიფანიძეს.

ამ კვირაში ექიმი ვ. წერეთელი ხუთშაბათს პარასკევს და შაბათს წაიკითხავს გამაშვებულ ლექციებს საღამოს 7- 9 საათამდე.

საგნების გასანაწილებლად დღეები ცალკე იქნება გამოცხადებული.

**კომისია.**

**იყიდება** ორი საწოლი მატრაცებით, გარდერობი, ხალიჩები და ორი საწერი მაგიდა. სომხების ქუჩა სახლი იოსებ კაკიტელაშვილის პეტროვისას. მიღება მნახველების 12 საათიდან.

**ჰქმენ ქიმას** მსურველს ვთხოვ მომაკითხოს მწვანე-ყვავილაში ან სამაზრო სამსაჯულოში, გაბო ბოჭორიშვილს.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა